,,აღმოაჩინე სამშვილდე“

ამიერკავკასის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ნაქალაქარი, მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, თბილისიდან 67 კმ მანძილზე. ნაქალაქარი განფენილია ბუნებრივ ბაზალტოვან კონცხზე და ხასიათდება ლანდშაფტის მრავალფეროვნებით, ფლორისა და ფაუნის უნიკალურობითა და არქეოლოგიურ-ისტორიული ძეგლების სიმრავლით.

- *სამშვილდის ნაქალაქარის ზოგადი ხედი*

სამშვილდის ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია მე-VIII საუკუნის სიონის საკათედრო ტაძარი, რომლის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილია ძველი ქართული წარწერა რომელიც განსაზღვრავს ტაძრის აგების თარიღსა და ქტიტორთა ვინაობას.

ასევე მნიშვნელოვანია სამშვილდის თავდაცვითი-საფორთიფიკაციო ნაგებობა - ციტადელი, რომელიც ნაქალაქარის სამეფო უბნის შესასვლელს აკონტროლებდა. ციტადელი მრავალგზის გადაკეთებულა, თუმცა, დღემდე ინარჩუნებს უნიკალურობას.

ასევე მნიშვნელოვანია ის არქეოლოგიური უბნები, რომელთა კვლევას საქართველოს უნივერსიტეტის სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია 2012 წლიდან ანხორციელებს.

გათხრის უკანასკნელი შედეგები ადასტურებს რომ სამშვილდის ტერიტორია და მისი მიდამოები ადამიანს ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში აუთვისებია. ამავე დროს, სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიცია ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს ჩაერთოს გათხრებში და უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა წარსულის კვლევაში.

- *გათხრები სამშვილდეში. 2016 წ.*

არქეოტური

სამშვილდის ისტორიული ნაქალაქარის სტუმრობა შესაძლებელია წელიწადის ყველა დროს, თუმცა, საუკეთესო მაინც შემოდგომა, ზამთარი ან ადრე გაზაფხულია. სამშვილდეში არქეოლოგიური ტურის განხორციელებისათვის განსაზღვრულია ერთი დღე და გულისხმობს:

9:00. გამგზავრება თბილისიდან სამშვილდეში და სოფელ სამშვილდეში, საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ბაზაზე მცირე შესვენება (ჩაი, ყავა).

11:00. ფეხით გასვლა ნაქალაქარის ტერიტორიაზე. უმთავრესი ძეგლების დათვალიერება, მცირე ისტორიული ექსკურსი, ლანდშაფტისა და ბუნების ხედების დათვალიერება. არქეოლოგიური ველის მონახულება და უახლესი აღმოჩენების გაცნობა.

17:00. დაბრუნება უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ბაზაზე და ვახშამი.

19:30. დაბრუნება თბილისში.



სამშვილდის ნაქალაქარის არქეოლოგიურ-ტურისტული უფასო გზამკვლევის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ-გვერდიდან: www.travelgis.ge

სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის ოფიციალური ვებ-გვერდი: www.samshvilde.ge